 სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

23/07/2024

MES 1 24 0000897736

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო, ზ ოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო და ქართულ ენაში მომზადების პროგრამებზე 2024-2025 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის გრაფიკისა და საგამოცდო ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის3 სექტემბრის N 122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის-წესდების მე-14 მუხლისმე-8 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-9 პუნქტის, 2024 წლის 19 ივლისის აკადემიური საბჭოს მე-18 ოქმის მე-7 საოქმო დადგენილების ამონაწერის და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ნანა რინკიაშვილის სამსახურებრივი ბარათის (19/07. 2024წ.N883598) და ამავე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მდივნის, ასისტენტ პროფესორის შორენა წიგნაძის სამსახურებრივი ბარათის (23/07/2024წ; N897154) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024-2025 სასწავლო წელი (ბაკალავრიატში, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე) დაიწყოს 2024 წლის 23 სექტემბერს და დასრულდეს 2025 წლის 18 ივლისს:

- **სემესტრების ხანგრძლივობა განისაზღვროს შემდეგი სახით:**

ა) შემოდგომის სემესტრი დაიწყოს 2024 წლის 23 სექტემბერს და დასრულდეს 2025 წლის 7 თებერვალს;
ბ) გაზაფხულის სემესტრი დაიწყოს 2024 წლის 10 მარტს და დასრულდეს 2024 წლის 18 ივლისს;
გ) პირველი სემესტრის სტუდენტთა ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია დაიწყოს 2024 წლის 2 სექტემბრიდან და დასრულდეს 2024 წლის წლის 13 სექტემბერს. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის დაგვიანებით გავლა შესაძლებელია კანონმდებლობის ფარგლებში;
დ)შემოდგომის სემესტრში სტუდენტთა ადმინსტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია დაიწყოს 2024 წლის 2 სექტემბრიდან და დასრულდეს 2024 წლის 13 სექტემბერს. დაგვიანებით რეგისტრაცია შესაძლებელია ინდივიდუალური განცხადებების განხილვის საფუძველზე;
ე)გაზაფხულის სემესტრში სტუდენტთა ადმინსტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია დაიწყოს 2025 წლის 17 თებერვლიდან და დასრულდეს 2025 წლის 23 თებერვალს. დაგვიანებით რეგისტრაცია შესაძლებელია ინდივიდუალური განცხადებების განხილვის საფუძველზე;
ვ) საშობაო არდადეგები გამოცხადდეს 2024 წლის 30 დეკემბრიდან 2025 წლის 5 იანვრის ჩათვლით;
ზ) უქმე დღეებში გაცდენილი სასწავლო კურსები ანაზღაურდეს ლექტორსა და სტუდენტს შორის შეთანხმების საფუძველზე, არაუმეტეს მომდევნო კვირისა.

- **სესიები ჩატარდეს შემდეგი გრაფიკით:**

ა) ზამთრის სესიები დაიწყოს 2025 წლის 13 იანვარს და დასრულდეს 2025 წლის 26 იანვარს;
ა)¹ დამატებითი საგამოცდო პერიოდი განისაზღვროს 2025 წლის 20 იანვრიდან 2025 წლის 2 თებერვლის ჩათვლით;
ბ) ზაფხულის სესიები დაიწყოს 2025 წლის 23 ივნისიდან და დასრულდეს 2025 წლის 6 ივლ ისს;
ბ)¹ დამატებითი საგამოცდო პერიოდი განისაზღვროს 2025 წლის 30 ივნისიდან 2025 წლის 13 ივლისის ჩათვლით;

- **არდადეგების ხანგრძლივობა განისაზღვროს შემდეგი სახით:**

ა) ზამთრის არდადეგები დაიწყოს 2025 წლის 10 თებერვლიდან და დასრულდეს 2025 წლის 9 მარტს;

2. ლექციის ხანგრძლივობა განისაზღვროს 50 წუთით, შესვენება 10 წუთით;
3. სწავლა დაიწყოს 09:00 საათიდან;
4. 2024-2025 სასწავლო წელი დასრულდეს 2025 წლის 18 ივლისს;
5.დაევალოს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურს (თ. ასლანიშვილს) წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
6.დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას (მ.ბეჟანიშვილი) ბრძანების გადაგზავნა უნივერსიტეტის ფაკულტეტებისათვის და სამსახურებისათვის;
7. სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე კონტროლი დაევალოს უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეს (ი. შიოშვილს);

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო / უმაღლესი
საგანმანათლებლო დაწესებულებები / სსიპ – იაკობ
გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
რექტორი
ჭკადუა შალვა